საზოგადოებრივი მაუწყებელი

შიდა აუდიტის 2011 წლის ანგარიში

2012

ა ნ გ ა რ ი შ ი

ანგარიში მოიცავს 2011 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამურ შედეგებს, კერძოდ, სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული ადმინისტრაციულ და ფინანსურ პრობლემებს და შესაბამისი რეკომენდაციებს.

1. ბიუჯეტი

   სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი შედგება როგორც საბიუჯეტო ასევე ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით. ეკონომიური შემოსავლების წყაროს 2011 წელს არის იჯარიდან, სპონსორობის ღირებულებიდან, რეკლამიდან, სპეციალური პროექტებიდან და სხვა წყაროსოებიდან მიღებული შემოსავლები. 2011 წელს არ მომხდარა ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სწორი დაგეგმვა და შესაბამისად დამტკიცება

   რეკომენდაცია: უმჯობესია მოხდეს ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაგეგმვა თვითოეული საქმიანობის მიხედვით და საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ მუხლი 30-ის შესაბამისად ასეთივე სახით წარედგინოს სამეურვეო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ინვენტარიზაცია

   2010 წელს სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებლის მიერ დაწყებულია ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესი. მაგრამ, აქვე ავღნიშნავ, რომ პროცესი დღესაც არ დასრულებულა და შესაბამისად

არ არსებობს საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა. რაც იწვევს პრობლემებს სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებლის ეფექტურ მუშაობაში.

რეკომენდაცია: აუცილებელია დროულად ჩატარდეს და დასრულდეს ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა და შესაბამისად შედგეს კომისიის აქტი, რათა მოხდეს ჩამოსაწერი საქონლის დროულად ბალანსიდან ჩამოწერა. ასევე აუცილებელია არსებობდეს სახელმძღვანელოდ შიდა დოკუმენტი 2010 წლის 22 მარტის საქართველოს მთავრობის N82 დადგენილების "საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც მოხდება ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერა.

3. შპს „თბს-ტვ"

სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და შპს „თბს-ტვ"-ს შორის გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება 2008 წლიდან. რომლის შესრულებაც იწვევს რიგ პრობლემას. მათ შორის დღემდე არის დავა დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით. გაფორმებულია მორიგების აქტი.

რეკომენდაცია: საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ" მოთხოვნის გათვალისწინებით მორიგების აქტის გაფორმებაზე საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა და დოკუმენტი ითვალისწინებდეს ორივე მხარის ინტერესებს თანაბრად.

4. ავტომანქანებით მომსახურება

სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და შპს „იბერია ავტო მარკეტს-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალებით მომსახურებაზე. მომსახურება არ ხორციელდება სრულყოფილად და დაირღვა ხელშეკრულების პირობები. ამის გამო 2010 წელს გადაწყდა ხელშეკრულების შეწყვეტა.

რეკომენდაცია: მოხდეს სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და შპს „იბერია ავტო მარკეტს-ს შორის არსებული ხელშეკრულების გადახედვა. გატარდეს ხელშეკრულების დაკისრებული ყველა საჯარიმო სანქციების დარიცხვა და ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთვის.

შიდა აუდიტის სამსახურის
უფროსი მაია ბუზალაძე